სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“
#10 საერთო კრების მოწვევის შესახებ
გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-8 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“, ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

გადაწყდა:

1. მოწვეულ იქნეს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება **2022 წლის 22 სექტემბერს, 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;

2. **საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:**
   1. *საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებისა და 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა.*
   2. *საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის საწესდებო კაპიტალის გაზრდა და შესაბამისი ცვლილებების ასახვა სადამფუძნებლო შეთანხმებაში;*
   3. *აქციონერების მიერ შენატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;*
3. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2022 წლის 15 სექტემბერი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
4. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
5. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - ✓ სენბის სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილების პროექტი;
   - ✓ კაპიტალის შევსების გეგმა-გრაფიკის პროექტი;
   - ✓ კორექტირებული ბიუჯეტი 2022 წლისთვის;
   - ✓ სენბის ბიუჯეტის პროექტი 2023 წლისთვის;
   - ✓ დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი.

6. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოსი.

Irina Milorava 61002005345

Digitally signed by Irina Milorava
Date: 2022.08.30 13:22:58

გადაწყვეტილება მიღებულია 26.08.2022

ირინა მილორავა
გენერალური დირექტორი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა “ (სენბი)
საერთო კრების ოქმი #10/2022 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

“მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” (კანონი) 190-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, ასევე #10 საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტიდან გამომდინარე

გენერალური დირექტორი საერთო კრებას წარუდგენს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისი საფუძვლების მითითებით.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებისა და 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
2. საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის საწესდებო კაპიტალის გაზრდა და შესაბამისი ცვლილებების ასახვა სადამფუძნებლო შეთანხმებაში;
3. აქციონერების მიერ შენატანების განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

გადაწყვეტა

1. **საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებისა და 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა**

აქციონერებს მიეწოდოს ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებებისა და 2023 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ, რომელიც განსახილველად ასევე წარედგინება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს.

2. **საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის საწესდებო კაპიტალის გაზრდა და შესაბამისი ცვლილებების ასახვა სადამფუძნებლო შეთანხმებაში**

გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის" საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტი "ა" და "ზ" ქვეპუნქტების შესაბამისად.

3. **აქციონერების მიერ შენატანების განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღება**

გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს წესდების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.